

შინდისის ბრძოლიდან 10 წელი გავიდა

11 აგვისტო 2018

შინდისის ბრძოლიდან 10 წლისთავზე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფელ შინდისთან დალუპული ქართველი სამხედროების მემორიალი გვირგვინებით შეამკეს და გმირ მებრძოლებს პატივი მიაგეს. დალუპული სამხედროების ოჯახის წევრებს მიუსამძიმრეს და თანადგომა გამოუცხადეს საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ქეთევან ცხელაშვილმა, შიდა ქართლის რწმუნებულის-გუბერნატორის პირველმა მოადგილემ სიმონ გულედანმა, გორის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე თავზარაშვილმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. ლევან იზორიას განმარტებით საქართველოს თანამედროვე ისტორიაში შინდისის ბრძოლა იყო ქართველთა შეუპოვრობისა და თავდადების უპრეცედენტო მაგალითი. დალუპული გმირების ოჯახის წევრებმა თავდაცვის მინისტრთან ერთად მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძისგან დამატებითი ინფორმაცია მიიღეს 17 სამხედრო მოსამსახურის ხსოვნის უკვდავსაყოფად 17 ფიგურიანი პორტრეტული ძეგლის მშენებლობის შესახებ. როგორც ნუგზარ ჭავჭავაძემ აღნიშნა მონუმენტის მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მემორიალის მშენებლობისთვის 530 000 ლარი, ხოლო თავდაცვის სამინისტრომ 400 000 ლარი გამოყო.

დღესვე, შინდისში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წირვა აღავლინეს, რის შემდეგაც გმირულად დალუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ეპარქიის სამღვდლოებამ, გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ, მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკ ხაჩიძემ და მთავარმა კაპელანმა დეკანოზ დავით ლონდარიძემ გადაიხადეს.

შინდისის ბრძოლა 2008 წლის 11 აგვისტოს მოხდა და ერთ-ერთი გამორჩეული და მძიმე ეპიზოდია აგვისტოს ომის ქრონიკაში. რუსულ სამხედრო ნაწილთან უთანასწორო შეტაკების დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ქვედანაყოფის 17 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა - ალექსანდრე ონიანი, ემზარ წილოსანი, ვეფხვია ჯიშკარიანი, ზვიად კაცაძე, თეიმურაზ ბერიძე, ილია გაბუნია, ილია შეყლაშვილი, ირაკლი ჯანელიძე, კახა კომაძე, ლევან მელქაძე, მარლენ ბარამია, მიხეილ დვალისვილი, ნიკოლოზ ფორჩხიძე, რომან ზოიძე, რუსლან წულაძე, ფელიქს კაკაურიძე და შმაგი კუპატაძე.